

6984

ნეალული



სამართლო უკრება
გვირებულვათათვის

თებერვალი № 4. 1917 წ.

A decorative horizontal border featuring stylized, interlocking geometric patterns in black ink on a light background. The design consists of a series of thick, curved lines forming a repeating, organic pattern that looks like stylized leaves or petals. The border is contained within a thin black rectangular frame.

ବେଳେରୁକୁଳ ପତ୍ର-XIII.

No. 4.

თებერვალი, 1917 წ.



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

შინაარსი:

I—ბატის მწყემსები, —სურათი.	1
II—როსტომ გმირი, —ლექსი ბაბილონისი.	3
III—პატარა ქურდი, —მოთხრობა იქ. გომართელისა.	4
IV—ია, —ლექსი დ. ელიოზიშვილისა	18
V—ბელურა ჩიტი და მურა, —ხალხური ზღაპარი, ჩაწერილი სავლე ამულობისაგან	20
VI—ფეხსაცელის ძირის თავვადასავალი, —ვაგნერისა, თარგმანი დ. ყიფიანისა	23
VII—გასართობი: —ზმა, რებუსი და ახსნა	24



ରତ୍ନେଶ୍ୱର ଗମିରି

 ରତ୍ନେଶ୍ୱର କ୍ଷେତ୍ରରେ ରତ୍ନେଶ୍ୱର ଗମିରି
ମାର୍ଗର୍ଥା-ମାର୍ଗିତ ଧାରୀନିବନ୍ଧା;
ମମିତନ୍ଦା ମାଧ୍ୟମିତି
ଏଣ ମନ୍ଦିରରେ ନାହିଁଲା ବିନନ୍ଦା.

ଶ୍ରୀ ପାତାଳି—ମନିଷୀନା?
ଏଣ ଏହିର୍ଥା, ଏଣ ଶ୍ରୀମନ୍ଦା?—
ଇନ୍ଦ୍ର ମନୀରଜୁଲାର ରୂପ,
ଏମିକେ ଶ୍ରୀର ରାଧା ଗିନ୍ଦା!

ଶ୍ରୀରାଧା ମାମିନ ମେ ଶ୍ରୀମତ୍ତେଜୁଗାତ
ଶ୍ରୀକିନ୍ଦ୍ର ଯାନ ପାରାମି:



ის დარბაზში დადიოდა,
თან დაჭებულ ფიცრის რბში.

— მაძ შენ ამათ ვერ იცნობდი,
მშეგნიერო ჩემო რამო? —
სურათებზე თითს იძვერს და
უბნება: — აი, ეს მამო! ...

აი, ის—თიყო, ისიც—ნენე,
ისიც—ჩვენი ქონიათ;
სურათები გმაქვს გმელასი,—
მაძ შენ როგორ გვთანხო!

აი, ეს დიდი სურათები
ბებოსი და ჰაბასია;
ისიც—ჩვენი თებრო-ქალის,
თუმცა თითონ კაპასია.

მაგრამ დახე, ამ სურათში
რა მშეგიდ და რა ჩუმია!
ეს ქვემოთა სურათი კი—
მავი ზღვა და ბათომია...

აბა კედელს შემოჰედე!
თამარ მეფის სურათს ჲსედა?
რატომ მაღლა თავს არ იწევ,—
გემინიან? გერა ჲბედა?

აგერ ძოთა რუსთაველიც,
აგბერ და ილიათ....
რა ვქნა, თავი რად დაჭერდე,
რა დროს ბხლა ძილიათ?

ဟျမ်း ဖြောက်၊ ပျောစာတွေ့နှု
ပာဏ်တော် အဲ ထူးပေါ်ပော်?
မာရ် စားစွဲပို့သော အဲ စာရော်မျိုး
မြင် စာ ဖျော် အြော်ပော်!

ဤတို့လဲ နှောက် ရောက်ပြန် ဂမိုဒ်
မာရ်တွဲမာရ်တွဲ စားစွဲပို့သော;
အမိန္ဒရာ မာရ်တွဲ
အဲ မှော်စွဲစွဲ စားစွဲမြင်ပော်!

မျိုး ပုဂ္ဂိုလ်စာ—မှော်စွဲပို့သော?
အဲ အုပ်စွဲ၊ အဲ မျိုးပုဂ္ဂိုလ်စာ?—
ငါ့အဲ မြို့မြို့ ပို့သော ပို့သော...
အမိန္ဒရာ မြို့မြို့ ပို့သော...

နာဝါယာ





პატარა ქურდი



იორგობა მოახლოვებული იყო. მერისის მცხოვრები დიდ მზადებაში იუგნენ. ზოგი ტანისამოსს იყერავდ, ზოგი ჰურის რეცხვავდა, ზოგი წისქვილისაქენ მიემურეა ბოდა. გიორგობა მერისლების დღესასწაულიდა: ამ დღეს ახლო-მასლო სოფულებიდან ბეჭრი სტუმრი იურის თავს მერისძი.

ნატალიას სახლში ჩვეულებრივი მუსდომება იყო. რაც ნატალია დაქვრიფდა და ორი ობოლი — იორგმი და ნუცია — დარჩა, ოჯახიც ჩამოქვეყითდა და მსიარეულებაც გაქრა.

— დედა, ჩეენ სტუმრები არ გვევთლება? — ეკითხება დედას ათი წლის ნუცია.

— სანამ მამაშენი იყო, შეიღო, ცოცხალი, სტუმარიც ბეჭრი მოგვდევდა და მოუკარეც. ახლა ვის რათ უნდიდართ? ან რათ გვინდა, შეიღო, სტუმარი, — ჩეენი საერთოც არაფერი გვაქვს.

— დედა, ამ გიორგობა დღეს ფეხშიძელები უნდა ვაჭილებოთ? — დაიწეო ცამეტი წლის იორამმა, რომელსაც დაგლევილ ქალამნებში თითები გამოეულ.

— რითი რა გიუიდოთ, დედა, რითი? გუძინ წინ ხარაზ თან ჩაეიარე და თქვენ სარგო წუღებში სამ მანათს ფეხი არ მოუცვალა. ექვსი მანათი ვინ მომაშავა?

— ეჭ, აბა ეკლესიაზედაც ვედარ გაფალო! — წარმოსთქაა იორამმა და დაპარედ თავის ქალამნებს.

— ბატებს მიხედვე, შეილო, არსად გადაგვეპაროს, თორებ ალფეზას ეანაძი თუ გადვიდნენ, ეკლეს დაგვიხოცავს, — მომართა ნატალიამ ნუცას.

ფეხშიძელია ნუცა მარდად წამოხტა და გასწია; დედაც მას გაჲჭება.

იორამი ჩაფიქრებული იდგა. ეკლესიაზე თამაშობა იცოდნენ გიორგობას, ჭიდაობა. სიმღერა. ამ ქალამნებით წასვლა მას არ უნდოდა.

— ახალი წუღები როგორ დაგვმვენდება ახლა მე და ნუცია! — გაიფიქრა მან, მაგრამ ახალ წუღებს ამ სიძვირეში კაიგვესი მანათი ნდომებია ორივესათვის. სად არის, სად ეს ექვსი მანათი?

— პელანგიაც დარიბია, მაგრამ იმის სანდროს ერთგულთვის ახალასხალი ბცეფია და მთელი სოფელი ლაპარაკოშს: იპარაგს ეველაფერს, ჭედის, თვითონაც იცემას და დედასაც აცმევსო, — გაიფიქრა იორამმა.

— შენც მოიპარე, შენც მოიპარე! — ჩასჩურჩულებდა რაღაც ხმა იორამს. დიდხმას იუთ ის უიქრსა და ერებანში.

— რატომაც არ მოვიპარავ! მაშ ამ ქაი დღეს ეკლეს ახლებში უნდა იუს გამოწეობილი, ჩვენ კი ფეხშიძელა უნდა ვიაროთ? — წარმოსთქაა მას და გამოვიდა გარედ.

სადამო ქაში იქო. ნატალიას და ნუციას ბატები მოჰქავდათანავე
დათ დახამწევდევად.

— დედა, ერთი ბატი უნდა მომცე,— მიმართა იორამმა და
დას.

— რად გინდა?

— საჩხერეს გავიუვან და გავუიღი.

— ერთ ბატში რას აიღებ ძერე?

— აბა ორი გამატანე!

— სულ ოთხია, შვილო, და ორი რომ შენ გაგატანო,
სახლში რადა დაგვრჩება? კაი დღე კარებზე გვიდგას, იქნება
მოვიდეს ვინმე, და ამ ბატების ამარა ვართ. ესეც რომ შენ
გაუიღო, სტუმარს რადა ვაჭამოთ?

— ერთი მაინც გამატანე.

— კი გაგატან, შვილო, მაგრამ ერთი ბატის ფასით რა
მოგიგა?

— დმერთი მოწეალეა: მოვახერხებ რასმე.

— იმ დღეს ილიკოს ერთი ინდოური შვიდ მანათად გაუ-
ედა. ერთი ინდოური რომ მაშოგია! — ჭყიქრობდა იორამი,
და არ იცოდა, სახა ეძოვნა ინდოური.

— ინდოურების მეტი რა ჭეავს სალომეს. ამას რომ ერთი
მამალი ინდოური ჭეავს. ის რომ სელში ჩამაგდებია, კაი ფასს
ავიღებ,— თცნებობდა იორამი.

სალომე ნატალიას მეზაბედი იქო. ასალგაზდობაში და-
ქვრივდა; ქლოვავი დარჩა. ქალი გასათხოვარი იქო; ვაკი რეი-
ნის გზაზე მსახურებდა, თვასს ესმარებოდა, და სალომე რი-
გიბნად ცხოვრობდა.

იორამმა იცოდა, რომ სალომე ბოსელში ამწევდევდა ინ-
დოურებს. სალომეს მაღლი მას გარგად იცნობდა და უეჯას
არ დაუწევდა. დედა და შვილმა გადასწევირეს, რომ იორამი

მაღალიან ადრე წაგიდოდა ბაზარში, რომელიც სოფლიდან ხუთისაუკირთხვა
ვერსის მანძილზე იყო.

მთელი დაბე იორამს მოუსუქნებად ეძინა. მაღალა წა-
მოჭეოფდა თავს და სარკმელისაკენ გაიხედავდა: ხომ არ გა-
თენებულაო.

როდესაც დამის სიბრუნვეს ცოტა ფერშა გადაჭერა, იორა-
მი წამოდგა, ამოიჩარა ბატი იღლიაში და გაუდგა გზას.

საღომექს სახლი სულ ახლოს იყო. გულის მაგა-მუგით
მიუახლოვდა საღომექს ბოსელს იორამი. ფაცურა იქვე იწვა;
ერთი დაიდონა, მაგრამ რაკი იცნო მოსული, დაწესარდა და
კუდის ქნევა დაიწეო. იორამსა შიცხედ-მოიხედა, შიადგა ბოს-
ლის კარს და შედგა; ერთხანს შეკრთა; გულმა უთხოდა, დაახე-
ბე ამ განზრას ხევით. თითქმის გამობრუნებაც კი დააპი-
რა, მაგრამ გაახსენდა გილოგობა, ახალი წელები, დაგლე-
კილი ქალამნები, ფეხშიძეები ნუცია, შეაღო ფეხაკრეფით
კარი, რომელიც კლიტით არ იყო დაკეტილი, და შევიდა ბო-
სელში.

სარკმელიდან შემოსული მცირე სინათლის წებლობით
მან დაინახა კუთხეში ინდუსტები. მიუახლოვდა, მოქსენია ხე-
ლი მამალს და გამოტრიბლდა უქან.

გული ისე სწრაფად უცემდა, რომ სული შეეგუბა, თვა-
ლები დაუბინელდა, ეურებმა ზუზუნი დაუწეულ, და კარებოთან რომ
ბოსლის გედელს არ მიჰეუდებოდა, უთუოდ წაიქცეოდა.

ცოტა დამშვიდდა. გამოიხედა გარედ. სიხუმეს არაფერი
არ არღვევდა.

პატარა ქურდა გადარაზა ბოსლის კარი, გამოტრიბლდა,
გადახტა ეანაში და დაეძვა თავქმი.

მირბოდა იორამი და უკან აღარ ისედებოდა, სანამ დო-
ბეს არ მიადგა. როდესაც დარწმუნდა, რომ დიდი მანძილი

გამოევლო და კედარზეინ გაუგებდა, ჩაჯდა სიმინდში და მუშავი ისვენა. შეძლებ მონასა შარავზა და გასწია სახსერისავენ.

— ბაჭო, რა მოგცე ბატსა და ინდოურში? — ეკითხებოდა იორამს ბაზარში.

— შვიდი მანათი ინდოური, სამი მანათი ბატი, — ეუბნებოდა ეკელას იორამი და თან შემინებული აქეთიქით ისე-დებოდა, სალომე ხომ არსად არისო.

ბევრი ვაჭრობის შეძლებ ერთმა ებრაელმა მისცა ორივე ში რებ მანათი, როდესაც იორამმა მოიძორა ინდოური, თა- ვისუფლად ამოისუნთქა, მოუჭირა ქადაღდის უულს მაგრა ხელი და გამოსწია სარაზისავენ.

ის ახლა ბევრი კაცია: წუდებს იუიდის, ნუციასაც უეიდის, და ორი მანათი კიდევ დარჩება.

— ერთ თავსაფარს დედა-ჩემს კუეიდი და დანარჩენ უულს შეფინახავ, — გაიყიქრა იორამმა.

— დედა-ჩემსაც რომ წუდები კუეიდო? — უთხრა მან თავის- თავს რამდენიმე ხასს შეძლებ. ამ ფიქრები იურ ის გართუ- ლი, როდესაც მიუახლოვდა ხარაზ ილიკო დარბაძის დუქანს. ილიკო მერისელი იურ. იორამი და სატალიაც მას ქარგად იცნობდნენ. იორამმა იყიქრა, ეს უურო იაფად მომცემსო, და შეუხედა შასთან.

— გამბრჭობა, ილიკო!

— გაგიმბრჭოს! ოთქ, ძენა ხარ, იორამო? რას შერება დედა-შენი?

— რა უტირს. ილიკო, წუდები მინდა ჩემთვის, ნუცას- თვის და დედა-ჩემისთვის; მაგრამ რებ მძნათის შეტი არა მაქსი.

— აბა რა კიუთ: რებ მანათით სამი წუკილი წუდა როს გორ მოგცე? არა და — მეცოდები: ჩემი სოფლისა ხარ, — წარ- მოსთქვა ილიკომ და დაუწეო შეკერილ წუსტებს თვალიერება.

— შენი და შენზე პატარეა, არა?

— ათი წლის არის.

— აა, ეს წუდები დედა-შენს არგებს; ეს—შენ, და ეს კი დევ—შენს დას,—გადმოალაგა იღიკომ წუდები; — შეიძლება ცოტა მეტი მოვიდეს, მაგრამ ფეხზე მოუვა მერე.

— რვა მანათად მომცემ უკელას?

— ააა რა გიუთ! ათ მაურს თუ კიდევ დაუმატებ, გაგა-ტან, თორებ სხვას არც თუმნად მივცემ ასლია.

— დედა არ მომიკვდეს, იღიკო, რვა მანათის მეტი არ ქონდეს ახლა, და თუ ამ კაი დღეებზე უწყელოთ არ დაგი-ტოვებ, ნაგიორგობებს მე თვითონ მოგირან ათ მაურს, ან და გროვ კაი დედალს მოგიუვან.

— კარგი, რა გაეწეობა.

იღიკომ ერთად შეჰქრა ჩუსტები; იორამმა მისცა რვა მა-ნათი და სულ სირბილით გამოსწია სახლისაკენ. გზაზე მა-ლი-მაღლ ჩუსტებს დასცექროდა. ერთ აღაგას წეაროსთან შე-ისვენა; გაისადა ქალამნები, ჩაიცვა ჩუსტები და გული სი-სარულით ბუტოკდა. ლამბაზი ჩუსტები იუ და კარგადაც ედგა ფეხზე. გაიხადა, შეასვია და გაუდგა გზას.

— იიფ, რა კაი გიორგობა გაგვითენდება,— ფიქრობდა ის და მიექარებოდა სახლისაკენ.

— ბიჭო, მე ჩასულიც არ მეგონე, და ასე უცებ ამოხვე-დი, დედა!— დაუძახა ნატალიამ, როცა იორამი დაინახა.

— იქ რაღა გამეცეთებია?

— ბიჭო, და სამი წევილი წუდა ერთ ბატში მოგცეს?— ეკი-თხებოდა გაჭვირვებული ნატალია და თან წუდებს სინჯავდა.

— დედა, თუ არ გმწეინება, გმტევი.

— მითხარი, შვილო: არ მეწეინება.

— იმას აუძღვდა ოჯახი; ის გაახარა თავის ცოლშვილში
იქსო შაცხოვარმა და წმიდა გიორგიმ, როგორც ჩეკენ იმან
განვახახარა. ორ ბატში კი არა, ორ ინდოურში არავინ მოკ-
ცემს ახლა სამ წევიდ უდის, — ილოკაციონდა ნაწალიძა.

— ნატალია, ჩემი მამალი ინდოური სომ არსად დგუინდა
ხავს? — კადმოსძახა ამ დროს სალოომებ.

— არა, შეიღები არ დამესოციოს. რავა, ვერარსად ნახე?

— წესელი მე თვითონ შევრჩებ უველა ბოსტელში, და დღეს
რომ შევედი, მამალი ინდოური ადარსად დამხვდა. ქურდი თუ
შევიდა, რატომ სწევბიც არ წაიგიანა; თუ პრა-და—რამ გა-
დაქლანა?

— მიმალებოდა საგძელები, მაგრავი: გამოჩენდება, სად წავა.

იორაშს ფერი ქცევალა და ამ ლაპარაკისათვის ეური ბდებ
უგდია; სახლში შევიდა.

— სწორედ ჰელინგიას სანდოოშ მოშვარა, იმ არავადა
სარჩენძა,—წაილაპარაკა ნატალიაშ და შეუდგა საქმეს.

զուրշամբ մեծարյալն է իսկառա. նաքաղակ մմա դա ըմա-
լո յ՞շո; մյուս առաջոն չըսպաճ. ռայս մզուլցի ոյքմովալոյ-
նու տո ջայրիս, Անգամ ացարաբորս Ե՞րշըճ.

იორამიდ და ნუცია დილითაც იუგნენ ეკლესიაზე, სადამო საც. ორ-სამ ნაბიჯს რომ გადადგამდა ნუცია, შეჩერდებოდა და ჩუსტების დააჩერდებოდა, მტკერი ხომ არ აურიაო. თუ მტკერს შენიშვნავდა, ხელით გადაწენდება.

გაიძრო კარგი სინდა. ნუცია და იორამი ღორის აქმევდნენ
ენასის ბოლოში. სატალია მწერეს აცხობდა.

— ნატალია, — გაცნება ამ დროს.

ნატალიამ კარში გამოიხედა.



— ილიკო, შენა ბრძანდები? უკაცრავდებდ, შენი ჭირიმე.

ნატალიამ გადმოკეცილი სახელოების სწორება დაიწეო.

— გადმობმნდი, გადმობმნდი ნატარა სანს.

— აღარ ძცალია, ბაზარში მიშეჩქარება. ათი შაურია კი ღვევ დარჩენილი თქვენზე, იორამმა რომ წუდები წამოიღო საგიორგობოდ.

— ისე მადლობელი ვარ შენი, ჩემთ ილიკო, ისე, რომ თუნდა ტეუილად გქჩქებითს. ე გლასა ბლფეზა რომ აგდია ეგერ, მარკოზას ბიტი, მარტო ბავშვების წუდებში ეჭვი მანათი მოხოვა, და შენ რა დავთისნიერი გამოგვიჩნდი ამისთანა.

— გიცი შენი ამბავი, ჩემთ ნატალია, თორებ რვა და ათ შაურად კი არა, თუმნად არ მივცემდი სხეას.

— რაი, გენაცვალე ილოკო? — დაეკითხა ნატალია, რომელ საც ეგონა, სმენამ მიღალატაო.

— ცოლა-შეილი დამესოფოს, თუ რვა და ათ შაურად მე იმას სხეას მივცემდი. რვა მანათი მაშინ მომცა შენმა ბიტმა, და ათი შაური დარჩა.

ნატალიას სელები და ქვედა ება აუცახცახნდა.

— კოო, ათი შაური, — წაილაპარება მან და რეტადასხმული კით გამოტრიალდა. იმ დღეებში სამი აბაზის ბატის გერმა^{*)} და ღორის ჯაგრი მიჰეიდა ებრაელს; მონასა სკიფოში ათი შაური და გამოუტანა ილიკოს.

— დედა, დედა, დედა! — წაიშინა ნატალიამ ებებში სელები, როცა ილიკო გაბრუნდა. — ვინ მისცა, ვინ რვა მანათი... ვის მოქანარა ნერა?

ფიქრში გართულსა და მწუხარებისაგან ნერწევა-გამშრალ

ნატალიას მოაგონდა საღლოებეს ინდოური.

^{*)} ბუმული.

— ნამდეილად მოიპარა, ნამდეილად, და ბაზარში გაჭეიდა ასეთი აბა რებ მანათს კინ მისცემდა, ნად იძოვიდა? რა მქონდა, რა გამაჩხნდა, პატიოსანი სახელის მეტი?

ნატალიას სული ეელში მოებჯინა და დაიწეო ტირილი.

— ჰელანგიას სანდოო რომ დაუჭერიათ, შვილო, იცი? — ეუბნებოდა მეორე დღეს შვილს ნატალია.

— რათა, დედა?

— რათა და ქურდობისათვის. სალომეს კიდევ მამასახლისათან უჩივლია, მე დავინახე, ჩემი ინდოური რომ იორამმა გაგამოიყვანათ, და ახლა შენც უნდა დაგიჭირონ.

იორამს მიწის ფერი დაედგა და სათქმელად ვეღარა მოახერხა. რა.

— ჩაგაჯენენ, შვილო, ციხეში, და მე კი პირში უნდა მაფურთხონ, ქურდის დედააო! — განაგრძობდა ნატალია.

იორამს ტუჩები აუკანელდა: ტირილი მორთო. ნატალიას აქამდინ კიდევ იმედი ჰქონდა, იქნება მე კცდები და ჩემი ბიჭი ქურდი არ არისო, მაგრამ ახლა კი დარწმუნდა, რომ სალომეს ინდოურის ქურდობა იორამის საქმე იქო.

— რად მოგვწერი თავი, შვილო, რად? რად შემირცხვინე ნამუსი და ოკახი? ჩვენ ჩვენი სიღარიბე არ გვეუთუოდა, რომ ქურდებიც ჩვენ, არ გვიძახონ? გამოტედი, შვილო, ბოდიში მოიხადე და იქნება გაპატიონ როგორმე, თორემ მამასახლისი თუ მოვიდა, სადღა გამოვეუთ თავი.

— რა ჭენა, დედა, შევცდი, და მომკალი, თუ ვინდა!

— შენს შემდეგი, შვილო, მე ერთ დღესაც ნუ მაცოცხლოს, მაგრამ თუ ქურდი იქნები და სოფლის შემაწუხებელი, დღესვე რომ მომიკვედე, ის მარჩევნია სწორედ. სიღარიბე, შვილო, დასამრახისი არ არის. რა ვუკათ: ზოგი დარიბი იქნება, ზო

გი მდიდარი,—ეს ქვეუანა ასე მოძღინარებს. სიძღიდორებს და გლახა სახელს სიღარიბე და კაი სახელი სჭობია.

— გიორგობა მოდიოდა, დედა, ფეხშიშვლები კიუავით და შევცდი, გავბრივევდი,—ტირილით ამბობდა იორაში.

— ოგორ გაუიდე ინდოური?

— ექვს მანათად.

— უნდა იმრომო, პატიოსანი შრომით მოაგროვო ეგ ექვსი მანათი და გადაუხადო სალომეს. ახლა კი სალომესთან ბოლიში უნდა მოითხოვო და სთხოვო, რომ გაპატიოს.

ნატალიამ გადმოიხმო სალომე: თვალუცრემლიანმა შესწიველა, რაც გულს უწუხებდა. სალომემ თვითონ ანუგეშა: რა ვუმოთ, ბავშვია, შეცდება; მაგაზე დიდები და ჰქვიანები სცდებიან.

დარცხვენილი იორამი მაიევანა სალომესთან და ბოლიში მოახდევებინა.

— ეს ერთი მაპატიე, ბიცოლა, და რაც უნდა დამემართოს აწი, ამისთანა საქმეს აღარ ჩავიდენ!—თან ტიროდა და თან ამბობდა იორამი.

— ამ უბერურის შვილს ექვს მანათად გაუეიდია, და გნებაშ—ექვს მანათს მოგართმევ, როგორც კი მოვაგროვებ; გნებავს—ინდოურს გიეიდი,—დასძინა ნატალიამ.

— ჩემო ნატალია, ის ინდოური შენი ჭირის სანაცვლო იუოს, და უველავერი დავივიწეოთ.

— სანამ არ გადაგიხდი, მე ვერ მოვისვენებ. ნაქურდალი ღმერთმა ნურაფერი შემარგოს—ნურც მე, ნურც ჩემ შეიღებს.

დედის რჩევით იორამა ზაფხულზე სოფლის მწევემსობა იყისრა. სოფლის ნასირს ერეკებოდა დილით საბალახოზე და საღამოს უკან ბრუნდებოდა.

ମନ୍ତ୍ରେଲି ଶାହୀଶ୍ଵରିଙ୍କ ଗନ୍ଧାରୀଜ୍ଞାନପଦାଶ୍ରମ ଥିଲେ ଫାମ୍‌ପ୍ରି ମନ୍ତ୍ରକାଳୀନ
ରେ ଏତି ମାତ୍ରରେ ନାହିଁ ମନ୍ତ୍ରକାଳୀନ ପରିପରାରୀଙ୍କ ନାମାନ୍ତରଣରେ, ରାମପରିଷାମ୍‌
ରେ ଯାହାରେ ଉପରେ ଉପରେ ପରିପରାରୀଙ୍କ ନାମାନ୍ତରଣ ହେଉଥିଲା, ଏହା କିମ୍ବା
ମନ୍ତ୍ରକାଳୀନ ପରିପରାରୀଙ୍କ ନାମାନ୍ତରଣ ହେଉଥିଲା କିମ୍ବା ମନ୍ତ୍ରକାଳୀନ
ପରିପରାରୀଙ୍କ ନାମାନ୍ତରଣ ହେଉଥିଲା କିମ୍ବା ମନ୍ତ୍ରକାଳୀନ ପରିପରାରୀଙ୍କ
ନାମାନ୍ତରଣ ହେଉଥିଲା,

— ଏହାର ପରିପରାରୀଙ୍କ ନାମାନ୍ତରଣ ହେଉଥିଲା, ତାହା ଏହାର ପରିପରାରୀଙ୍କ
ନାମାନ୍ତରଣ ହେଉଥିଲା, ଏହାର ପରିପରାରୀଙ୍କ ନାମାନ୍ତରଣ ହେଉଥିଲା!

ଏହା ନାମାନ୍ତରଣରେ ପରିପରାରୀଙ୍କ ନାମାନ୍ତରଣ ହେଉଥିଲା ଏହାର
ପରିପରାରୀଙ୍କ ନାମାନ୍ତରଣ ହେଉଥିଲା.

ଓସ. ପାଠ୍ୟକାରୀଙ୍କ



୧୮

୪




ପାହିଲାଇ ପାର ତଥିବି,
ପ୍ରେସାଗି ଦୁଃଖିଲି ମିରାଶା;
ପ୍ରେସାଗି ନେବ୍ରାର୍ଯ୍ୟଲାଇ ପାର,
ମେହାଶିଳ ଇଶା!

ତାରୀରା ଫା ମନ୍ଦ୍ୟରୁ,
ଶେଷାରିବା ମାରାଧା;
ମନ୍ତ୍ରୀପ୍ରେସର୍ବେନ, ମାରୀର୍ଯ୍ୟବେନ
ପ୍ରେସାଗିଲା ଗାଶାଶରାଧା.

ରାଣିବିଲା ଫା ମଦିଦରିଲା
ଶାକ୍ରାନ୍ତିରା ପାର ନ୍ରୀମାରି;
ପ୍ରେସାଗି ପାରି ଫାଇ ମାଜ୍ଜି,—
ଅର୍ଜିଲା ପ୍ରେସାଗିଲା ପାରି.

କାନ କ୍ରେଲିତ ମାରୀର୍ଯ୍ୟବେନ,
କାନ ପ୍ରେସାଗି ମାଜ୍ଜିଲା ଦିନଦା;
ରାତକ୍ରେଲ ଦରିଲାଲା କ୍ରୀଜିଶି
ପ୍ରେସାଗିଲା ଫାଇମହିନଦା!

ପାହିଲାଇ ପାର ତଥିବି,
ପ୍ରେସାଗି ଦୁଃଖିଲି ମିରାଶା;
ପ୍ରେସାଗି ନେବ୍ରାର୍ଯ୍ୟଲାଇ ପାର,
ମେହାଶିଶି ଇଶା!



ბეღურა წითი ჩა მშრალა



ეო ერთი ღარიბი კაცი, რომელსაც
ჰქავდა ძაღლი მურა. ამ კაცს არ ჸქონა
და იძენი საჭმელი, რომ ძაღლისა-
თვინაც ეჭმია. ადგა პატრონი და გააგ-
დო კარში მურა. გულ-შეწუხებული მუ-
რა წავიდა, და ფიქრობდა—იქნება ვიძოვნო საღმე საჭმელიო.
ბეჭრი იარა. შეხვდა ბეღურა.

ბეღურამ ჸეითხა:

— მურავ, რამ შეგაწუხა?

მურამ მიუგო:

— პატრონმა კარში გამომაგდო და ძიმშილით გევდები.

ბეღურამ უთხრა:

— შენ ჩემთან წამოდი, და მე გაჭმევ. მე დაგარიგებ,
თუ როგორ უნდა მოიქცე. შევალ საუასძოში: იქ ხორცი
ეკიდება. ჩამოვაგდებ, შენ კი სწორიყად დაავლე პირი და გა-
ვარდი.

მართლაც ასე მოიქცენ. როცა მურამ ხორცი შეჭამა, ბე-
ღურამ ჸეითხა:

— რა ჰქენი,
ხომ გაძეხი?

— არა, ჩემო
კარგო, კერ სად
გარ. გაფეხი კი
არა, კბილებში გა
მეტყეტა ის ხორუ
ცო.

— აბა, კარგი,
შენ მომეუჯი, საუ
დაც წავალ. შეგალ მეტურეს სახლში, მოვსრაცებ ერთ პურის
და გამოგიტან; მაგრამ მალე მომეუჯელე.



მართლაც ისე მოიქცენ, როგორც იფიქრეს.
მერე ბეღურამ ჰყითხა:
— ასლა ხომ გაძეხი?
— ასლა კი, ჩემო კარგო, მაგრამ ერთი დასვენება მენა
ტრება.

მართლაც მურამ დაისვენა, შუაგულ მარაზე გაიშლართა.
ბეღურამ უთხრა:

— მე აქვე ტოტზე შევჭდები, რომ არავინ გაგსრისოს.
ბეღურა იქვე სეზე შეკვდა, მურამ კი გულადა-გულ დაი-
ძინა. ცოტა ხანს უკან ბეღურამ დაინახა, რომ ამ გზაზე მო-
დიოდა ურმით ერთი კაცი, რომელსაც მიჰქონდა ღვინო თრი-
რუმბით. ურემს ება ორი უღელი ხარი. ურემი მოდიოდა პირ-
დაპირ ამ მურასკენ. ბეღურამ მიაყვირა: — ხომ უეურებ — მურას
სძინავსო!

კაცმა ერთი ჩაიცინა; ბეღურამ სელმეორედ უთხრა:
— მაღლი არ მოჰქლა, თორემ ბევრს ინანებ.

მან უურიც არ ათხოვა, ძაღლზე ურემი გამარატარ და
გასრისა. ბეღურას ეწეონა და სთქვა:

— თუ დაყიჩებე, კიდეც აკასრულებ. აბა, თუ არ განანო!

მართლაც დააკად ერთ რუმბს და იმდენი სხიჩქნა, რომ
გახდა და დაინო სულ დაქცია. მეურმემ მოიხედა უპან, და
რუმბმი დაინო აღარ იუთ. მემოივრა თავში სელი და სთქვა:

— დმეტოო ჩემთ, რა გაწევიე მძისთხნა?



142

ბეღურამ უთხრა:

— ებ ცოტა არის.

მეორეც ასე დაუქცია.

ჩიტმა მიამახა:

— ებეც ცოტაათ.

— შე თხერო ჩიტო, კიდემ გინდა რამეთ?

მეურმე ბეღურა დააკად ერთ სარს თვალზე და დაუწეო
ჩიჩქნა. გულმოსულმა მეურმემ მოუქნია ცელი ჩიტს; ჩიტი ვერ
მოკლა, და სარს კი თავი გაუპო. ასე მოაკვლევინა თთხი
ცალი სარი.

მეურმემ მიატოვა ურმები და მკვდარი სარები. გაუდგა

როცა მეურმე სახლში მივიდა, დაინახა: იმის ქალოს
ჩიტები ესკოდნენ. ამ ჩიტები ის ჩიტიც ერთა, რომელმაც და-
ღუპა. ქაცმა შეეტევირა:

— Ջի ռեյրու հօტո, զոգցք զոնք ռամց?

— აბა, კერ სადა ხარ: აწი უეურე როგორ განანო.

შეურმე სახლში შევიდა და ბუხართან დაჯდა. ჩიტი გამო ფრინდა და ფას ჯარაზე დაჯდა. გულმოსულმა კაცმა აღარ იციდა, რა ექნა: ესროლა ცული ჩიტს გერ მოასვერდო და შეძები სულ ჩაამტკრია. მერმე ჩიტი, ბუხრის თავზე შეფრინდა. კაცმა აიღო ცული, დაჭრა, მავრამ ჩიტს მაინც ვერა დააკლოურა; ბუხარი კი სულ ჩამოანკრია.

ამნაირად ამ ჩიტება სულ დამტკრევია, რაც კი გააჩნდა; სახლიც მთლად დაანგრევია. მერმე ბეღურამ უთხრა:

— განანე თუ არა?

მეურმე დანადგლიანდა და კავრს თან გაზაჲევა.

Եպիսկոպոս





ფეხსაცმლის ძირის

თავგადა ავალი



არი მინდორზე ბალახსა სმოვდა, სანამ დღე-
სასწაულის წინა დღეს ეასაბი არ მოვიდა და
არ დაჭელა. შეძლებ ტუავი გააძრო და მე-
ტუავეს მიჰეიდა; ამ უკანასკნელმა მისგან
სამოგვეები გააკეთა, რომლისაგან გამოჭრი-
ლია ბავშვის ფეხსაცმელების მაგარი ძირები.

იმ დღიდან, როდესაც ბავშვს ფეხსაცმელები უკიდეს, იგი
მის ძირებთან განუშორებელია. ძირებმა უფლება დღე სასწავ-
ლებელში და სასეირნოდ უნდა ატაროს. ძირები სშირად ჭაო-
ბებსა და ტალახიან ქუჩებზედაც გადადიოდნენ, მისრიალობდნენ
თოვლსა, ეინულსა და ბალახებზე. მაკამ ქუჩაზე ხვინჭები
მეტად მჭრელი და მაგარი იქო და განუშევეტლივ უცხოდნენ
ბავშვს წაღების ძირებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი
დახტოდა, ან ცეკვავდა. ძალი ძალს შორდებოდა და ბოლოს
ფეხსაცმლისაგან მარტო კიდევები დარჩა, დანარჩენიკი, მტკრად
ქცეული, ქუჩაში ექარა.

ნაგლეჯები, რომელიც ქველი ძირისაგან დარჩა, სხვებ-
თან ერთად საღებავ ქარხანაში მოხვდა. აქ ისინი გააცხელეს
და რეინის მარილში აადუდეს, სანამ მშვენიერი, მუქი, ლურ-
ჯი საღებავი—ბერლინელი ლაქეპრდი—არ გაკეთდა. ქრთი
ამისთანა საღებავი ბავშვის საშობაო საჩუქრებით სავსე ეუთ-

ში მოხვდა. ამ საღებავით იგი ცის ლაჟვარდს, საღლდათის ტანისა მოსსა და ცის ფეხ უვაკილებს ხატავდა და ღებავდა.

რა მოუვიდა ფეხსაცმელების ძირების მონაცლებს, ქუჩაში დარჩენილ ძალებს? მათი თავგადასაფალი კერ არ დასრულებულა: ეოველ დღე ქუჩის მგველები მტკერსა და ტეავის ნარჩენებს ერთად აგროვებენ ცოცხებით. ამ ხენხქში, რასაკვირველის, ბეგრი სხვა რამეცა მოჰვევა: ეტლის გაგორებისა და ცხენის ნალების რეინის ნაკეთები, მოსეირნეთა ტანისამოსს მოცილებული ძალები. ამ ხენხქს მებაღე შიწის გასანოეირებლად ხმარობს და კვალებზე ჭერის. კომბოსტო და სხვა ბოსტნეულობა ამნაირ ნიადგზე საუცხოოდ იზრდება.

ამავე ხენხქით მექოთნეც სარგებლობს; ის ურევს მას თიანაძი და სხვა-და-სხვა საგნებს აკეთებს: უვაკილების ქოთნებს, სანათებს, და სხვას; ძემდეგ დებაგს და აკრიალებს. ამნაირი ფეხსაცმლის ძირები, რომელიც გადავარეს, როგორც უვარგისი საგნები, ხელასლა თოახში ბრუნდების. ღ. ჭავახი





୭୧

(ବିନିଷେଧକର୍ତ୍ତା ନ. ରାଜଶେଷଙ୍କଳ ମିଶ୍ର)

ମିଶ୍ରା ଶିକ୍ଷଣକୁ ହାତୁଥିଲା
ମେହିକାମ୍ବେ କିଲାଇବା
ବାବା ନାହିଁ ତୁମ୍ଭା ମନ୍ଦିରେ
ମେରେ ମେନି କିଲାଇବା.



ରୂପତାଳ

(ବିନିଷେଧକର୍ତ୍ତା ଡ. କ୍ରିଷ୍ଣଚନ୍ଦ୍ର ମିଶ୍ର)



ମୟ-୩ ଖାଦ୍ୟ ମନ୍ଦିରକୁ ପରିବାରଙ୍କ ମାର୍ଗଦାରି ଦା ପରିବାରଙ୍କ କ୍ଷେତ୍ରରେ:

- 1) ବିନିଷେଧକର୍ତ୍ତା ମିଶ୍ର,
- 2) ବାବାରୀଙ୍କ ମନ୍ଦିର.

მოლეგა ხალის მონარქია 1917 წლის თბის



დასურათებული საყმაწვილო ერწინალი

წელიწადი „ნაკადული“ წელიწადი შედებითი.

ერურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროცერამით, საგანგე-
ბოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

რაჩნალი გამოდის თვეში თეჯელ

24 წიგნი „ნაკადულისა“ 12 წიგნი „ნაკადულისა“

მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

უფლები წიგნის პირველ გვერტზე იქნება მოთავსებული გა-
მოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფისი ეურნალისა: წლიურიდ ორივე გამოცემა—5 ბან.—იმათ-
თვის, ვინც ეურნალს რედაქტირები მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 ბან.
ნახვად—3 ბან. გაგზავნით—3 ბან. 50 კპ. ცალ-ცალკე:
მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 ბან. გაგზავნით—3 ბან. 50 კპ.
მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 ბან. გაგზავნით—3 ბან. 50 კპ.
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილიდაც.

ვსთხოვთ ხელის მომზერებს, თუ ეურნალი „ნაკადული“ არ
მისილი, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და იღრესის გამო-
ცელი დროზე შეგვატყობინონ. იღრესის გამოსაცელელი—40 კ.
შეიძლება მარკებით გამოიგზონს.

ხელის მოწვევა მიღება

თბილისში—„ნაკადულის“ რედაქტირები, ზუბალიშვილის სახლი,
გოლოვინის პროსპ. № 8. რედაქცია „Накадули“, Головинскій пр. № 8.
შემოსასვლელი დაიოთხს ქუჩიდან, № 2. წერა-კითხვის გამოვრცე-
ლებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიში, სახლის ქუჩა; ქუთაის-
ში—ისილორე კვიურარიძესთან, მ. ყაუხებიშვილთან და თ. მთავრი-
შვილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიძესთან. ბათომში—ტრი-
ფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ჭ. სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის
გამცემბაში. თელავში—ვანო ჰაიტაშვილთან. ახალციხეში—კონს-
ტანტინე გვარაშვილესთან. ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან. გორ-
გი—ქეთევან ჯავახიშვილთან ჭინინო ლომიურთან. ჭიათურაში—ივ.
გომიელიურთან. ხანში—მ. ი. კავჭანიძესთან. მიხაილევაში—გო-
რგი ნაკადიძესთან. ოზურგეთში—სალომე ხუნდაძესთან, ლანჩხუთ-
ში შასწავლებელ ჯულელთან.

რედაქტორი ნანა ნაკადიძე

გომიშვილელი მ პავლე თახებას-ძე აუმანიშვილი.